



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N13

ქ. მარნეული

06.08.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:
 საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი, დავით ხუციშვილი, თორნიკე გოგლიძე, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი.

არ ესწრებოდა:

ნოდარ მთვარელიძე, ვანო ბურნაძე, ზურაბ ფანგანი, ილხამ გასანოვი, ნიკოლოზ მუმლაძე, რამინ ალახვერდიევი, გეიდარ მუსაევი, როვშან ისკანდაროვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაფიკ ჯაფაროვი, ივანე ხალულაშვილი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დავით ხარშილაძე** მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი **ელგუჯი კუპატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **კოტე ბოჭოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე **შერმადინ ბოჭოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები: **ნიკა კუსიანი, არმაზი მუმლაძე, მამუკა გიგანი, თამაზ ბოჭოიძე, გელა შუბითიძე, აგილ ამირჯანოვი**. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი **დავით ჭიკაძე**,

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 05 აგვისტოს N32-322121718 წერილის განხილვის შესახებ.
4. სოციალური საკითხები.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 20 ივლისის N32-3221201167 წერილით შემოსული დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N29. 06.08.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა დავით ხარშილაძემ საკრებულოს წევრებს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 06 აგვისტოს N32-322121850 და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 05 აგვისტოს N01-01/935 წერილებით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გააცნო იმ ადგილების ჩამონათვალი, სადაც შეიძლება/აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს და საჯარო მოხელეებს გააცნო საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები და დამატებები, რომლებიც შეეება წინასაარჩევნო აგიტაციას და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვას.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N50. 06.08.2021 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის,

სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა ელგუჯი კუპატამემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 05 აგვისტოს N32-322121718 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის 2021 წლის 04 აგვისტოს N02-3221216151 მოხსენებითი ბარათი და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 05 აგვისტოს N32-3221217124 წერილით წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 05 აგვისტოს N07-3221217107 მოხსენებითი ბარათით შემოსული დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ.“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, გამოეყოს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N71ბ-ში მდებარე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სკვერში (საკადასტრო კოდი N83.02.32.124) შესაბამისი ფართი შოთა რუსთაველის ძეგლის განსათავსებლად და ქალაქ მარნეულში, სკვერში, სადაც განთავსებული იქნება შოთა რუსთაველის ძეგლი, ყოველი წლის 20 ნოემბერს გაიმართოს „შოთაობა“

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N51. 06.08.2021 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეცამეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე